ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

ბრძანება:**ბ29. 2924143001**

თარიღი:**22/05/2024**

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) ანა ჩხეიძის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ 27-ე, 34-ე, 43-ე, 45-ე მუხლების და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის 2024 წლის 16 მაისის N2 ოქმის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. დაინიშნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) თანამდებობაზე ანა ჩხეიძე 2024 წლის 22 მაისიდან 6 (ექვსი) თვის გამოსაცდელი ვადით.

მუხლი 2. მოხელის ერთი თვის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1729 (ათასშვიდასოცდაცხრა) ლარით.

მუხლი 3. ანა ჩხეიძე გათავისუფლდეს საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში) თანამდებობიდან და აღნიშნული თანამდებობა გამოცხადდეს ვაკანტურად.

მუხლი 4. ბრძანება ჩაბარდეს საკრებულოს აპარატს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს და ანა ჩხეიძეს.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქ. №7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM